საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 9 აგვისტოს

რიგგარეშე სესიის პლენარული სხდომის

ო ქ მ ი № 11

სხდომა დაიწყო – 14[25] სთ.

სხდომას თავმჯდომარეობდა – დავით ბაქრაძე.

სხდომას ესწრებოდნენ – ზ.დეკანოიძე (საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილე), ნ.გვარამია (საქართველოს იუსტიციის მინისტრი).

რეგისტრაცია გაიარა – 84 პარლამენტის წევრმა, კვორუმი – 76

სხდომა გაიხსნა საქართველოს ჰიმნით.

პარლამენტის თავმჯდომარემ დეპუტატებს გააცნო კონფლიქტის ზონაში არსებული ვითარება.

პარლამენტარებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ცხინვალის რეგიონში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა ხსოვნას.

ნ.გვარამიამ პარლამენტს გააცნო საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 9 აგვისტოს № 402 ბრძანებულება „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საომარი მდგომარეობისა და სრული მობილიზაციის გამოცხადების შესახებ“

დ.ბაქრაძე (პროცედურის შესახებ)

ფრაქციის სახელით სიტყვით გამოვიდა გ.თორთლაძე.

პარლამენტის თავმჯდომარემ სთხოვა ნ.გვარამიას განემარტა მოსახლეობისთვის რას გულისხმობს საომარი მდგომარეობა.

ნ.გვარამიას ვრცელი განმარტების შემდეგ ჩატარდა განმეორებითი რეგისტრაცია – 90 პარლამენტის წევრი, კვორუმი – 76

კენჭი ეყარა საქართველოს პარლამენტის დადგენილებას „საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 9 აგვისტოს № 402 ბრძანებულების „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საომარი მდგომარეობისა და სრული მობილიზაციის გამოცხადების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე“

რეგისტრაცია – 90	მომხრე – 90
კვორუმი – 76	წინააღმდეგი – 0

კენჭისყრის შემდეგ პარლამენტის წევრებს მიეცათ ქვეყანაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის საშუალება. სიტყვით გამოვიდნენ: გ.წერეთელი, გ.ახვლედიანი, კ.სუხიშვილი, შ.მალაშხია, პ.კუბლაშვილი, ა.ბობოხიძე, დ.ბაქრაძე (განმარტება), პ.დავითაია, დ.დარჩიაშვილი, გ.თორთლაძე, ჯ.ბაღათურია, ლ.ჟვანია, რ.სამყურაშვილი, პ.ცისკარიშვილი, ნ.ლალიაშვილი.

პარლამენტის თავმჯდომარემ დარბაზს აცნობა, რომ რუსთაველის თეატრის შენობაში შეიქმნა საზოგადოებრივი შტაბი, სადაც ყველას შეუძლია მისვლა და თავისი პოზიციის დაფიქსირება.

სხდომა დასრულდა.